ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდისათვის არსებული გარემოებების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება #642-ის (06.10.2017) საფუძველზე, 2017 წლის 10 ოქტომბერს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

ლაშა საღინაძე - ჯგუფის თავმჯდომარე

ეკა ლუაშვილი- წევრი

ფრიდონ გოგიაშვილი - წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების, საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებისა და დაწესებულების რესურსების შემოწმება.

წინაპირობა

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2017 წლის 8 სექტემბერს (წერილი #651/17), რომლითაც საგანმანთლებლო დაწესებულება მოითხოვდა პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდას 100-დან 150- მდე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორიცლებლად ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების, სტუდენტური სერვისები, აღნიშნული სერვისების განხორციელების მზაობა და ორგანიზაციული და ხარისხის მართვის არსებული პრაქტიკა.

- **სტრატეგიული განვითარება**

დაწესებულებამ წარმოადგინა გრძელვადიანი (6 წლიანი) და მოკლევადიანი (ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები[1], სადაც დეკლარირებულია 2017-2018 წლის და გრძელვადიანი (2017-2023 წწ) სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. მათი შინაარსი მოიცავს დაწესებულების როგორც ინსტიტუციურ განვითარებას, ასევე ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას და განვითარებას, მათ შორის ახალი პროფესიული მოდულური პროგრამების დამატებას, რამაც განაპირობა დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტების არსებული კვოტა (100) გაეზარდა 150-ით. წარმოდგენილი გეგმებში არ არის ასახული სტუდენტების კვოტის გაზრდასთან დაკავშირებული საკითხი.

უნივერსიტეტის მოქმედი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები, როგორც უკვე აღვნიშნეთ მოიცავს ინფორმაციას სტრატეგიული მიზნების, ამოცანების, მისაღწევი მიზნებისა და ინდიკატორების შესახებ. თუმცა მასში არ არის მოცემული ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიც არის დაგეგმილი აქტივობის მოსალოდნელი შედეგები (outcomes) და ასევე პასუხისმგებელი პირები, რომელთა ჩართულობითაც უნდა იქნას უზრუნველყოფილი დაგეგმილი აქტივობის რეალიზება. გამომდინარე აქედან, რთულია წარმოდგენილი დოკუმენტის შინაარსი განხილულ იქნას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მიზნებისთვის, რადგან ვერ ხდება იდენტიფიკაცია, რატომ არის დაწესებულების სტრატეგიული განვითარებისათვის მნიშვნველოვანი ამ დოკუმენტში დეკლარირებული განსახორციელებელი აქტივობები და შესაბამისად, რამდენად ეფექტურად იყენებს დაწესებულება რესურსებს (მატერიალური და ადამიანური) განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისათვის.

დასტურება:

- ✓ ფაქტობრივი მდგომარეობით;
- ✓ დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებით;
- ✓ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავდეს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიც არის: დეტალურად გაწერილი დაგეგმილი აქტივობები; მოსალოდნელი შედეგები (outcomes) და ასევე პასუხისმგებელი პირები, რომელთა ჩართულობითაც უნდა იქნას უზრუნველყოფილი დაგეგმილი აქტივობებისა და ღონისძიებების რეალიზება.

[1] http://www.ssu.edu.ge/images/Normatiuli_Dokumentebi/Strategiuli-Ganvitarebis-Grdzelvadiani-Gegma-2017-2023.PDF; http://www.ssu.edu.ge/images/Normatiuli_Dokumentebi/Strategiuli-Ganvitarebis-Ertwliani-Gegma-2017-2018.PDF

- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, შიდა ხარისხის მექანიზმები და პროგრამის განამახორციელებელი პერსონალი**

უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების 2015 წლის 1 სექტემბრის N 25 გადაწყვეტილებით მიენიჭა 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, თუმცა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მათგან მხოლოდ ექვს პროფესიულ საგანმანათლებლო საგნობრივ პროგრამას ახორციელებს დაწესებულება[2]. ასევე დაწესებულებაში უკვე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ორი ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. გამომდინარე აქედან, ვიზიტის დროს გადამოწმდა არსებული პროგრამების რეალიზებისათვის არსებული რესურსების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ვიზიტის დროს უნივერსიტეტში არსებულ საგნობრივ პროფესიულ პროგრამებზე (საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსიის მე-4 და მე-5 საფეხურის; საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსის მე-4 და მე-5 საფეხურის; პილოტის მე-3 და მე-4 საფეხურის) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტად ფიქსირდებოდა 6 პროფესიული სტუდენტი, რომელთა შესახებ მომზადებული იყო სტატუსის შეჩერების ბრძანების პროექტი. ხოლო 16 პროფესიულ სტუდენტს უკვე შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი,[3] შესწავლილ იქნა აღნიშნულ საგნობრივ პროგრამებზე მოთხოვნის ფაქტიურად არ არსებობის მიზეზი და ამ საყურადღებო გარემოების გათვალისწინებით რა პერსპექტივიდან განიხილავდა დაწესებულება, ერთის მხრივ ახალი მოდულური პროგრამების დამატების საჭიროებას, ხოლო მეორეს მხრივ უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტების კვოტის 100 და 150 ადგილით გაზრდის რელევანტურობას?!

შესწავლილი დოკუმენტაციითა და უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიურებით დადგინდა, რომ **საგნობრივ პროგრამებზე დაბალი მოთხოვნა, ძირითადად განაპირობა აღნიშნული პორგრამების შინაარსმა, რომელიც სათანადოდ ვერ პასუხობს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და გამოწვევებს, რაც ზრდის რისკს, კურსდამთავრებულის შესაბამისი პროფესიით ვერ დასაქმების.** თანამშორმელთა განმარტებით, სწორედ საგნობრივი პროგრამების არაეფექტურობამ განაპირობა მოდულური პროგრამების შემუშავება, რომელიც ორიენტირებულია პროფესიის შესატყვისი და დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავბაზე.

აღნიშნული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-H)" და ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1,B2) შემუშავებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში. პროექტით უნივერსიტეტს აქვს ნაკისრი ვალდებულება ორი წლის განმავლობაში, 105

---

[2] http://www.ssu.edu.ge/images/profesiuli_saganmanatleblo_programebis_katalogi.pdf; http://www.ssu.edu.ge/index.php/ka/2017-02-16-14-21-26/2017-03-11-13-49-45/2017-03-11-13-55-14#profesiuli-programa-sainjinro; http://www.ssu.edu.ge/index.php/ka/2017-02-16-14-21-26/2017-03-11-13-49-30/2017-03-11-13-53-13#profesiuli-programa-safrenosno

[3] ინფორმაცია გადამოწმებულ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.

პროეფესიული სტუდენტის მომზადების. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, 105 პროფესიული სტუდენტის მომზადების ვალდებულებამ წარმოშვა საჭიროება არსებული პროფესიული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადახედვის და მისი 150 მდე გაზრდის.

უნივერსიტეტმა, 2017 წლის 10 აგვისტოს N661/17 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი წერილით მოითხოვა პროფესიული სტუდენტების 150 ადგილის შემთხვევაში შემდეგი სახით გადანაწილება:

- **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:**

1. საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-H) – 25 ადგილი;
2. საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1,B2) – 90 ადგილი;

- **პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამები:**

1. მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამა - მოყვარული პილოტი (ინგლისურ ენაზე) – 10 ადგილი;
2. მე-4 საფეხურის პროფსიული პროგრამა - კომერციული პილოტი (ინგილისურ ენაზე) – 15 ადგილი;
3. მე-4 საფეხურის პროფსიული პროგრამა - საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება (ინგილისურ ენაზე) – 5 ადგილი.
4. მე-5 საფეხურის პროფსიული პროგრამა - საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება (ინგილისურ ენაზე) – 5 ადგილი.

ზემოთ განხილულმა ინფომრაციამ და დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ინტერვიურებამ ცხადყო, რომ **უნივერსიტეტი მოდულურ პროფესიულ პროგრამებთან ერთად აპირებს კვლავ განახორციელოს საგნობრივი პროგრამები, მიუხედავად მათი არაეფექტურობისა.** ამასთანავე საგულისხმოა ის გარემოება, რომ წერილში **ადგილების გადანაწილება მოთხოვნილია, მხოლოდ 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე,** თუმცა დანარჩენი 6 პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამა ვიზიტის დროს არ იყო ოფიციალურად გაუქმებული. აღნიშნული მოცემულობა ადმინისტრაციის თანამშრომელმა იმით ახსნა, რომ რადგან 22 სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული ვერ გააუქმებენ შესაბამის პროგრამებს, ვიდრე აღნიშნული სტუდენტები სწავლას არ დაასრულებენ ან არ შუწყდებათ სტუდენტის სტატუსი. თუმცა წერილის შინაარისდან გამომდინარე 150 ადგილიდან ადგილების რაოდენობა **გადანაწილებულია მხოლოდ ინგლისურენოვან პროგრამებზე, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში დაფიქსირებული სტატუსშეჩერებული სტუდენტები იმ პოროგრამებზეც ირიცხებიან, რომელიც არ არის მოხსენიებული განხილულ წერილში. შესაბამისად ბუნდოვანია რა მექამიზმით შეძლებს უნივერსიტეტი სტატუსის აღდგენას პროფსიული სტუდენტებისათვის, შესაბამის პროგრამაზე კვოტის არარსებობის პირობებში.**

<u>ინტერვიურების დროს გამოვლენილმა გარემოებებმა და შესწავლილმა დოკუმენტების შიინაარსმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტს პროფესიული განათლების რეალიზების ერთგვაროვანი ხედვა და თანმიმდევრული პოლიტიკა არ აქვს და ამ ეტაპისათვის ჩამოყალიბების პროცესშია. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები</u>

მართალია პროცედურულად გაწერილი აქვს, თუმცა მისი ეფექტურად გამოყენება პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, შეფასებისა და განხორციელების, ასევე განავითარების ნაწილში ვიზიტის დროს არ დადასტურდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები[4], რომლის თანახმადაც პროგრამას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ჩართულობით და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად. აღნიშნული ჩანაწერი უფრო მეტად აძლიერებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას პროფესიული განათლების რეალიზების არათანმიმდევრული, ნაკლებად გააზრებული პოლიტიკის არსებობის კუთხით. ასევე ხაზს უსვამს უნივერსიტეტის არასწორ შეხედულებას პროგრამის შემუშავებაში მომაწილე პირების, ეტაპებისა და პროცედურების შესახებ.

უნივერსიტეტი პროფესიული პროგრამების სიცოცხლისუნარიანობაზე საუბრის დროს ძირითად ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს:

1. მოდულური პროგრამების წარმატებულ რეალიზების ძლიერ მხარედ მიიჩნევენ პარტნიორ ავია - კომპანეიბიდან დაკვეთას პროფესიონალი კადრების მომზადებაზე, აღნიშნულის დადასტურების მიზნით წარმოდგენილი იქნა ავია- კომპანიების მიერ, ერვნული ავიასაწარმოებში პილოტთა და ტექნიკურ სპეციალისტთა დასაქმების სტატისტიკის შევსებული კითხვარები. თუმცა აღნიშნული კითხვარებით მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავბის და ანალიზის დოკუმენტი ვიზიტის დროს უნივერსიტეტს არ წარმოუდეგნია, მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის დროს ადმინისტრაციის თანამშორმლება განაცხადეს, რომ აღნიშნულ კითხვარში მითითებული სტატისტიკური მაჩვენებლები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მათ ერწმუნათ მოდულური პროგრამის განხორციელების შემთხევაში კურსდამთავრებულების წარმატებით დასაქმების თითქმის გარანტირებული შესაძლებლობა. დაწესებულებას თანამშრომლობის მემორანდუმი გაფომებულია აქვს პარტნიორ ავია-კომპანიებთან, რომელიც თანამშრომლობის მრავალფეროვან ასპექტებს მოიცავს, თუმცა ვიზიტის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი ისეთი სახის დოკუმენტი, რომელშიც ცხადად იქნედბოდა დეკალრიებული პოტენციური დამსაქმებლების კონკრეტული დაკვეთა შესაბამისი პროფესიული კადრის მომზადების შესახებ.
2. დაწესებულების წარმოამდგენლებთან, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების დროს მოდულური პორგრამების წარმატებით რეალიზების კიდევ ერთ ძლიერ მხარედ დასახელდა ის გარემოება, რომ საავიაციო სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, სადაც საქმიანობის დასაწყებად საჭიროა კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება, მათ შორის ე.წ. ლიცენზიის მიღება, მოდულური პროგრამები ამ სფეროში დასაქმების მსურველთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.
3. მოდულური პოროგრამების წარმატებით რეალიზების ერთ-ერთ ძლიერ მხარედ დასახელდა ეროვნულ დონეზე და ასევე რეგიონში კონკურენტის არ არსებობა. მათი განცხადებით აღნიშნული პროგრამები არ ხორციელდება რეგიონში, ხოლო სადაც ხორციელდება სწავლის

[4] http://www.ssu.edu.ge/images/Normatiuli_Dokumentebi/Profesiul-Saganmanatleblo-Programaze-Saswavlo-Procesis-Maregulirebeli-Wesi.PDF

საფასურის ღირებულება გაცილებით მაღალია, რაც მოთხოვნადს ხდის ამ პროგრამებს არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე.

4. ინგლისურენოვანი საგნობრივი პროფესიული პროგრამების კვლავ განხორციელება დაწესებულების წარმომადგენლებმა, იმით ახსნეს, რომ არსებობს მოთხოვნა მეზობელი ქვეყნებიდან აღნიშნულ პროგრამებზე სწავლის, შესაბამისად ჯერ-ჯერობით არ მიაჩნიათ მისი გაუქმების გადაწყვეტილება მიზანშეწონილად.

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი

პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართულია როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები (სულ 14). მათთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია მათი პოზიცია, სტატუსი და ზოგადი უფლება-მოვალეობები, თუმცა ვერ ხდება იდენტიფიკაცია კონკრეტულად რომელი კომპონენტი უნდა განახორციელონ და რამდენი საათობრივი დატვირთვით. **ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული მოცემულობა ქმნიდა საფრთხეს აკადემიური პერსონალის მოცულობითი დატვირთვის შემთხვევაში მათ მიერ პროფესიული პროგრამების განხორციელების დროს მომხდარიყო აკადემიური და პროფესიული სალექციო ბადის გადაფარვა.** ამიტომაც დაწესებულების წარმომადგენლებს ეთხოვათ წარმოედგინათ შესაბამისი დოკუმენტაცია ან/და ელ-ვერსია, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმ ბადის დანახვა, თუ როგორ ხდება პერსონალისა დატვირთვისა და სააუდიტორო სივრცის გადანაწილება აკადემიურ და პროფესიული პროგრამების ერთდროულად განხორციელებისას. დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო ფართის შესაბამისად დაგეგმილი სალექციო ბადის ელ-პროგრამა, სადაც პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო აუდიტორიები და ლაბორატორიები აკადემიური ბადიდან გამოთავისუფლებულია. ასევე, აკადემიური პერსონალის შემთხვევაშიც, დაწესებულებას შემუშავბული აქვს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც აკადემიური პერსონალის დატვირთვა აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებზე გამიჯნულია და ერთობლიობაში არ აღემატება კონტრაქტით მათთვის განსაზღვრულ საათობრივ დატვირთვას.

დასტუდრება:

- ✓ ფაქტობრივი მდგომარეობით;
- ✓ დაწესებულების წარმომადგენლებთან ინეტრვიურებით;
- ✓ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის მონაცემებით;
- ✓ ვებ-გვერდზე განათვასებული პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- ✓ ვებ-გევრდზე განთავსებული ინფომაციით;
- ✓ 2017 წლის 10 აგვისტოს N 561/17 წერილით;
- ✓ პროგრამის განმახორცილებელი პირების პიარადი საქმეებით, მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ ავიაკომპანიების მიერ შევსებული კითხვარებით;

- ✓ უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარგეულირებელი წესი;
- ✓ უნივერსიტეტის დებულება.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების რეალიზების თანმიმდევრული პოლიტიკა და მისი ეფექტურად განხორციელების მექანიზმები;
- უნივერსიტეტმა მიზანშეწონილია გადახედოს პროგრამის შემუშავების წესს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა და საერთაშორის საუკეთესო პრაქტიკის გათავლისწინებით.
- მიზანშეწონილია დაიხვეწოს შიდა ხარსიხის მექანიზმების შინაარსი და მისი ეფექტური გამოყენება გახოციელდეს პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, შეფასების, რეალიზების და განვითარების კონტექსტში.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის უფრო ცხადად გამიჯვნა, იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტი მყარად ჩამოყალიბდეს პროფესიული საგნობრივი პროგრამების განხორცილების საჭიროების საკითხებზე, ასევე სტატსუსშეჩერებული სტუდენტებისათვის სტატუსის აღდგენის რეალურ შესაძლებლობებზე.

➢ **ორგანიზაციული მართვა, სტრუქტურა, სტუდენტები, მათი მხარდაჭერის ღონისძიებები და სერვისების ხელმისაწვდომობა, სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია**

უნივერსიტეტი სამართლებრივი ფორმის შესაბამისად წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, კერძოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას - (შპს). გამომდინარე აქედან, ორგანიზაციის მართვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ, რომლის თანახმად ორგანიზაცია თავისუფალია კორპორაციული მართვის მოდელის არჩევანში (დუალური ან/და ცენტრალიზებული).

დაწესებულების მართვის პრინციპები და მართვაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია დაწესებულების დებულებით[5]. უნივერსიტეტის დებულების თანახმად უნივერსიტეტის მმართველი სუბიეტები არაინ: რექტორი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; იურისტი; საავიაციო უსაფრთხოების სისტემების მენეჯერი; საავიაციო უშიშროების მენეჯერი; რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში; რექტორის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში; რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. რომელთა ფუნქციები ასევე განსაზღვრულია ზემოთ აღნიშნულ დებულებაში. ფუნქციების შინაარსის გაცნობამ ცხადყო, რომ მიუხედავდ იმისა, რომ მმართველობითი რგოლები და შესაბამისი

[5] http://www.ssu.edu.ge/images/Normatiuli_Dokumentebi/Debuleba.pdf

სტრუქტურული ერთეულები მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, დაწესებულებაში არის ცენტრალიზებული მმართველობა, კერძოდ გადაწყვეტილების მიმღები პირი არის რექტორი.

უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს სტრუქტურა[6] და საშტატო განრიგი. **სტუდენტების მომსახურებას და მხარდაჭერას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური და შესაბამისი ფაკულტეტის სპეციალისტები. სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურის ფუნქციები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით, რომლის თანახმადაც აღნიშნული სამსახური ძირითადად სასწავლო პროცესთან და სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული პროცედურების ორგანიზებას და მის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს, თუმცა არ იკვეთება თუ რა სტუდენტურ სერვისებსა და სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებს იყენებს უნივერსიტეტი (მაგ. კარიერული განვითარება, საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერა და სხვა).**

ვიზიტის დროს მოქმედ პროფესიულ პროგრამებზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტად ფიქსირდებოდა 6 პროფესიული სტუდენტი, რომელთა შესახებ მომზადებული იყო სტატუსის შეჩერების ბრძანების პროექტი. ხოლო 16 პროფესიულ სტუდენტს უკვე შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. **გამომდინარე აქედან ექსპერტები მოკლებულნი იყვნენ პროფესიულ სტუდენტებთან გასუბრების შესაძლებლობას. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების პერსპექტივიდან ვერ მოხდა იმის დანახვა თუ რამდენად ეფექტურია უსდ-ში არსებული პროცედურები და სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები და რამდენად კმაყოფილები არიან ისინი სასწავლო პროცესითა და გარემოთი.**

უნვერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, თუმცა მისი შინაარსის ანალიზისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიურების დროს გამოვლენილი გარემოებებით, **ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ დასახელებული დოკუმენტის შინაარსი ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმების იმგვარად ფორმულირებას, რომ ურზუნველყოფილი იყოს თითოეული პროფესიული სტუდენტის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა.** კერძოდ უნივერსიტეტს განსახილველ დოკუმენტში აქცენტი აქვს გადატანილი იმ საშულებების იდენტიფიცირებაზე საიდანაც არის შესაძლებელი სტატისტიკური ინფორმაციის მიღება იმის შესახებ თუ რამდენად მოთხოვნადი იყო ესა- თუ ის პოგრამაგასულ წელს ან/და იქნება მომავალში (მაგ. შესაბამის პროგრამაზე დარეგისტრიერებული აბიტურიენტების რაოდენობა; მობილობით გადმოსული და გადასული სტუდენტების სტატისტიკა; კურსდამთავრებულთა რაოდენობა და მათი დასაქმების მაჩვენებელი) ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სტუდენტთა კონტიგენტის განასაზღვრის დროს ზემოთ ჩამოთვლილი ინფომაცია სასარგებლო და გამოსაყენებელია, თუმცა არა საკმარისი იმის განსასაზღვრად თუ თითოეული პორგრამისათვის სტუდენტთა რა რაოდენობის კონტიგენტი უნდა იქნას დადგენილი უნივერსიტეტის არსებული რესურსების გათვალისწინებით. მაგალითისთვის: უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით შესაძლოა დაწესებულებამ მოახდინოს იდენტიფიკაცია, რომ კონკრეტული პროგრამა არის მოთხოვნადი და შრომის ბაზარზეც არსებობს დასაქმების შესაძლებლობა, თუმცა კონტიგენტის განსაზღვრის დროს აუცილებელია გაანალიზდეს თავად დაწესებულების რესურსები (მატერიალური, ადამიანური) განსაზღრული კონტიგენტისათვის სრულფასოვანი

[6] http://www.ssu.edu.ge/images/Struqtura_kart.PDF

მომსახურების მიღებისა და ხარისხიანი განათლების მიღების ურუნველყოფის კონტექსტში. ინტერვიურების დროს დაწესებულების წარმომადგენლები შეეცადნენ განევრცოთ განხილული დოკუმენტის შინაარსი, თუმცა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ვერ გამოიკვეთა, მათი განცხადებით აღნიშნულ დოკუემენტს არ განიხილავენ ბოლო რედაქციათ და მიმდინარეობს ამ კუთხით მუშაობა, რათა დახვეწონ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზრვის მეთოდლოგია.

დასტურდება:

- ✓ უნივერსიტეტის დებულებით;
- ✓ სტრუქტურითა და საშტატო განრიგით;
- ✓ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ✓ უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლენილი გარემოებებით.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა მიზანშეწონილია უზრუნველყოს სტუდენტების მომსახურებისა და მათი მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების შემუშავება; აღნიშნული მექანიზმებისა და ღონისძიებების განმახორცილებელი სტრუქტურული ერთეულების ცხადად იდენტიფიკაცია, აღნიშნული ერთეულებში დასაქმებული პირების ადექვატური რაოდენობის განსაზღვრა და მათი ფუნქციების დეტალურად გაწერა მათ სამუშაო აღწერილობებში.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გადახედოს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, გადაამუშავოს იმგვარად, რომ ცხადად იკითხებოდეს კონტიგენტის განსაზღვრისათვის საჭირო ინდიკატორები, მიღებული ინფომაციის დამუშავების მეთოდლოგია და პორცედურები და შეჯერებული ანალიზის შედეგად საკუთარი რესურსების გათვალისწინებით გარკვეული თანაფარდობისა და მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა

➢ **მატერიალური რესურსი**

უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად ფლობს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი (შენობა - ნაგებობები, ტექნიკა და ლაბორატორიული მოწყობილობები), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების განხორციელებისათვის.

შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" მისამართია ქ. თბილისი ქეთევან დედოფლის ქ. #16. #1 სასწავლო კორპუსის საერთო ფართი შეადგენს 3723,36 კვ.მ. #2 სასწავლო კორპუსის საერთო ფართი 2459,62კვ.მ. მთლიანად შენობა-ნაგებობის ფართი შეადგენს 8735.36 კვ.მ, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით.

უნივერსიტეტის სასწავლო ფართი აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით და ლაბორატორიული ტექნიკით. გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს სასწავლო ბაზა აკადემიური პროგრამების განხორციელებისათვის, ასევე სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილი არის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სათანადო ინვენტარით.
კერძოდ, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-H)" და ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1,B2)"სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით.

საავიაციო ძრავების ლაბორატორია 131- I კორპ. 207 აუდიტორია 68,09 კვ.მ. საჰაერო ხომალდების რადიოკავშირის სისტემების და რადიოლოკაციური მოწყობილობების ლაბორატორია B2-I კორპ. 403 აუდ. 50,66 კვ,მ.

- ✓ საჰაერო ხომალდების ელექტრული სისტემების ლაბორატორია (B1,B2) Iკორპ.აუდ.405; 90კვ.მ. ავიონიკის ლაბორატორია (B2)- I კორპ, 408აუდ.-51,3კვ.მ.
- ✓ საჰაერო ხომალდების ელექტრული სისტემების აუდიტორია – I კორპ, 508 აუდ; 51,43 კვ.მ.
- ✓ საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ლაბორატორია (B1)-II კორპ. 105 აუდ- 55,3 კვ.მ.
- ✓ სასწავლო აუდიტორია – II კორპ. 110 აუდიტ 36კვ.მ
- ✓ სასწავლო სიმულატორი (საწაფი) _ II კორპ. 122 აუდ. 54კვ.მ.

ზემოაღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის კაპიტალური შეკეთების პროცესშია იჯარით აღებული ფართი თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთო ფართით 2150 კვ.მ. აღნიშნულ ანგარში განთავსებულია თვითმფრინავი-ლაბორატორია Boeing-737-200. აღნიშნული თვითმფრინავის ყველა აგრეგატი და აღჭურვილობა მუშა მდგომარეობაშია, პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელების პროცესში გამოყენებას დაექვემდებარება თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე განლაგებული შპს "ავიატორ+"-ის ანგარში განლაგებული საჰაერო ხომალდი და ტექნიკური მომსახურებისთვის საჭირო ინვენტარი, რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებით.
გარდა აღნიშნული ბაზებისა, უნივერსიტეტი ფლობს საკუთარ აეროპორტს, "მიმინო" , რომლის იურიდიული მისამართია თელავი, სოფელი კურდღელაური. ბაზა ძირითადად გამოყენებულია ვერტმფრენების ექსპლუატაციისთვის და უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტის სრულყოფილად შესრულებას.

სასწავლო ბაზის სრულყოფის მიზნით საგრანტო დაფინანსების ფარგლებში უკვე განხორციელებულია ვერტმფრენის მფრინავის მომზადების და მოწყობილობების შესწავლისათვის თანამედროვე საწვრთნელი მოწყობილობები, მიმდინარეობს კომპიუტერული მართვის სისტემების მონტაჟი. სასწავლო გარემოს და რესურსების აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ პრაქტიკული სასწავლო გარემოსათვის საჭირო მოწყობილობების ნაწილი განთავსებულია ჯერ-ჯერობით უნივერსიტეტის ძირითად აუდიტორიაში და არა პრაქტიკული სწავლების ადგილზე, თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე განლაგებულ ანგარშში.

რეკომენდაციები:

- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო;

➢ **ფინანსური რესურსი**

ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს წლიური ბიუჯეტი, რომელიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით ყოველწლიურად ნოემბრის თვეში. თუმცა უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია სხვა დოკუმენტაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დაგვენახა ბიუჯეტის შედგენის პროცესის სრულყოფა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად არ მიმართავს გარე აუდიტს მისი ფინანსური მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით გაირკვა, რომ უნივერსიტეტს ბოლო საგადასახადო შემოწმება ჩაუტარდა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ 2015 წელს, ხოლო გარე აუდიტორული მომსახურება არ მიუღია 2013 წლის შემდგომ, შესაბამისად რთულია მსჯელობა უნივერსიტეტის ფინანსური სისტემის გამართულობაზე. თუმცა, წარმოდგენილი ბიუჯეტებით იკვეთება, რომ უნივერსიტეტს საკმარისი შემოსავლები გააჩნია არსებული ვალდებულებების, მიმდინარე და სხვა საჭირო ხარჯების ანგარიშსწორებისთვის, ამასთან აღნიშნულის შემდგომაც ნაშთის სახით წლის ბოლოს რჩება გარკვეული ფინანსური რესურსი, რომლის მიმართვა საჭიროებისამებრ შესაძლებელია უნივერსიტეტისათვის საჭირო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების განფასების შესახებ რაიმე სახის დამტკიცებული დოკუმენტი, რითაც დადასტურდებოდა აღნიშნული პროგრამების განხორციელების ფინანსური **სარგებელი. უნივერსიტეტის მხრიდან არ არის გათვლილი თუ რა მინიმალური რაოდენობის სტუდენტების მიღების შემდგომ აპირებს უნივერსიტეტი სასწავლო ჯგუფის გახსნას, რათა უნივერსიტეტმა ფინანსური დანაკარგი არ მიიღოს და პოტენციურ სტუდენტთა მხრიდან უკმაყოფილება არ წარმოიშვას,** თუმცა წარმოდგენილ ბიუჯეტში ყოველწლიურად არსებული ნაშთის და ადმინისტრაციის განმარტებების გათვალისწინებით, სავარაუდოდ უნივერსიტეტს არ შეექმნება ფინანსური პრობლემა პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად.

დასტურდება

- უნივერსიტეტის 2014-2017 წლების ბიუჯეტით;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან წარმოებული ინტერვიუების შედეგებით;

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა განახორციელოს ბიუჯეტის შედგენის ფორმალიზება და უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების მაქსიმალური ჩართულობა;
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ყოველწლიურად გარე აუდიტის მომსახურების შესყიდვა მისი ფინანსური მართვის სისტემის სრულყოფის და რისკების გამოკვეთის მიზნით;
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა განახორციელოს პროფესიული პროგრამების განფასება, მისი ფორმალიზება და შესაბამისი დოკუმენტის შექმნა;
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს წესი, სადაც განსაზღვრული იქნება თუ რა მინიმალური რაოდენობის სტუდენტების მიღების შემდგომ შეიქმნება უნივერსიტეტში სასწავლო ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემაჯამებელი მიმოხილვა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად თვლის, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსი ადეკვატურია, თუმცა მთელი რიგი პროცესები უნივერსიტეტში საჭიროებს დახვეწას და მეტ ფორმალიზებას (იხ. რეკომენდაციები);

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავდეს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიც არის: დეტალურად გაწერილი დაგეგმილი აქტივობები; მოსალოდნელი შედეგები (outcomes) და ასევე პასუხისმგებელი პირები, რომელთა ჩართულობითაც უნდა იქნას უზრუნველყოფილი დაგეგმილი აქტივობებისა და ღონისძიებების რეალიზება.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების რეალიზების თანმიმდევრული პოლიტიკა და მისი ეფექტურად განხორციელების მექანიზმები;
- უნივერსიტეტმა მიზანშეწონილია გადახედოს პროგრამის შემუშავების წესს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა და საერთაშორის საუკეთესო პრაქტიკის გათავლისწინებით.
- მიზანშეწონილია დაიხვეწოს შიდა ხარისხის მექანიზმების შინაარსი და მისი ეფექტური გამოყენება გახოციელდეს პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, შეფასების, რეალიზების და განვითარების კონტექსტში.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის უფრო ცხადად გამიჯვნა, იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება.

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტი მყარად ჩამოყალიბდეს პროფესიული საგნობრივი პროგრამების განხორციელების საჭიროების საკითხებზე, ასევე სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის სტატუსის აღდგენის რეალურ შესაძლებლობებზე.
- უნივერსიტეტმა მიზანშეწონილია უზრუნველყოს სტუდენტების მომსახურებისა და მათი მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების შემუშავება; აღნიშნული მექანიზმებისა და ღონისძიებების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ცხადად იდენტიფიკაცია, აღნიშნული ერთეულებში დასაქმებული პირების ადექვატური რაოდენობის განსაზღვრა და მათი ფუნქციების დეტალურად გაწერა მათ სამუშაო აღწერილობებში.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გადახედოს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, გადაამუშავოს იმგვარად, რომ ცხადად იკითხებოდეს კონტიგენტის განსაზღვრისათვის საჭირო ინდიკატორები, მიღებული ინფომაციის დამუშავების მეთოდლოგია და პორცედურები და შეჯერებული ანალიზის შედეგად საკუთარი რესურსების გათვალისწინებით გარკვეული თანაფარდობისა და მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო;
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა განახორციელოს ბიუჯეტის შედგენის ფორმალიზება და უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების მაქსიმალური ჩართულობა;
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პერიოდულად გარე აუდიტის მომსახურების შესყიდვა ან/და შექმნას შიდა ფინანსური კონტროლის განხორციელების მექანიზმები, მისი ფინანსური მართვის სისტემის სრულყოფის და რისკების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობის მიზნით;
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა განახორციელოს პროფესიული პროგრამების განფასება, მისი ფორმალიზება და შესაბამისი დოკუმენტის შექმნა;
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს წესი, სადაც განსაზღვრული იქნება თუ რა მინიმალური რაოდენობის სტუდენტების მიღების შემდგომ შეიქმნება უნივერსიტეტში სასწავლო ჯგუფი.

დანართი: „10" **გვერდი;**

ხელმოწერები:

ლაშა საღინაძე - ჯგუფის თავმჯდომარე

ეკა ლუაშვილი- წევრი

ფრიდონ გოგიაშვილი - წევრი